საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N386 2023 წლის 22 თებერვალი ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 იანვრის №197 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 იანვრის №197 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსულობების გათვალისწინებით, მათი ფინანსური დახმარების მიზნით, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 10 650 000 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარისა, მათ შორის:

ა) ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარისა;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 300 000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარისა;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

დ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

ე) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარისა;

ვ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარისა;

ზ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 750 000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

თ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

ი) ასპინძის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

კ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ლ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

მ) ერედვის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ნ) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**